№ 40
კვირა 17 თებერვალი 1902 წ.
გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1902

# ივერია

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 40
კვირა 17 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**ივერიის“ რედაქცია** აუწყებს ქართველს საზოგადოებას, რომ კვირას 17 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

## რაფიელ ერისთავის

სულის მოსახსენებლად. (4—4)

## 1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
## „ივერია“

ღირს **ცხრა მანეთი და ათი შაური** (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ფოთში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверіа“.** ტელეფონი № 227.

## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

**გადებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად**

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

(13—287—2)

### „ქართველ-ქალთა ამხანაგობის“
## სამკერვალო და სახელოსნო სკოლაში

იღებენ ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულსა და ამოჰკერვენ ნიშნებს (მეტკებს).
**ბარონის ქუჩა № 12.** (5—უ.—3)

### ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ

გადასწყვიტა ქართულის სცენის არტისტის

### ვ. ა. აბაშიძის
## 25 წლის სასცენო მოღვაწეობა

იდღესასწაულოს ამა წლის 10 მარტს. გამგეობა, აცხადებს-რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულში, მიჰმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე აცნობონ თავიანთი სურვილი.

თავად-აზნაურთა ქარვასლა, დრამატიულ საზოგადოების კანტორა. (5—უ.—2)

## იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
### ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ა ადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.
ავჭალის ქუჩა, № 85.

### ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
## მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.

ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

## ექიმი
## ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. საოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შჰაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7\frac{1}{2}$ ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

**ი. ზ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი.** კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.** ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

**ა. გ. ბარსუკოვი.** დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო.** ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი** სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

**ი. ნ თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან და ბავშვებისა. 5-6 საათ.

**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

**გ. გ. მაღალაშვილი.** - 10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

## სეტყვა და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ზარალი, რომელიც სეტყვას მოსდევს, უთვალავია, ამიტომ ყოველი ღონის-ძიება, რომელსაც ამ ზარალის შემცირება ან სრულიად მოსპობა შეუძლიან, დიაღამც საყურადღებო უნდა იყოს საზოგადოდ მეურნეთათვის და განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ძვირფასიან კულტურას მისდევს.

ამ მხრივ ფრიად შესანიშნავად მიგვაჩნია ახლად გამოცდილი ბრძოლა სეტყვის წინააღმდეგ მორტირების სროლის საშუალებით, რომელსაც ჩვენს ქვეყანაშიაც უპირებენ შემოღებას და, მაშასადამე, საინტერესოც იქნება ამ საქმის ვითარება შევიტყოთ.

ძველად საფრანგეთში და იტალიაში სეტყვის ღრუბელს რომ დაინახავდნენ, ზარების რეკას დაიწყებდნენ ხოლმე; ტიროლში, ავსტრიაში, კარინთში და სხვა ქვეყნებში-კი ხალხი ამ შემთხვევაში გახშირებულ თოფის სროლას გაჰმართავდა ხოლმე. ვერავინ იტყვის დანამდვილებით, ჰშველოდა ზარის რეკა ან თოფის სროლა საქმეს, თუ არა, მაგრამ ამ საშუალების იმედი მაინც იმდენი ჰქონდათ, რომ 1760 წ. საფრანგეთის მეცნიერი ქაკური ხალხს ურჩევდა სეტყვის ასაცილებლად სასროლი სტანციების გამართვას და იმ ხანებშივე მეორე საფრანგეთისავე მეცნიერი არაგო ყოველ წელიწადს 6—9 ფუთს თოფის წამალს ჰხარჯავდა თავის მამულის სეტყვისაგან დასაცველად. წარსულის საუკუნის დასაწყისში ამავე განზრახვით ბევრს მემამულეს ჰქონდა გამართული სასროლი მრტირები.

ძველთაგან ცნობილია, რომ დიდს ომს თან ახლავს ხშირი და გამუდმებული წვიმები; ამერიკის განთავისუფლების ომის დროს 198 ბრძოლას ამდენჯერვე წვიმა მოჰყვა.

არც ის გარემოება ექნება ჩვენს მკითხველს დავიწყებული, რომ ამ ათი-თორმეტის წლის წინად ამერიკელმა გენერალმა დირენფორტმა განიზრახა ზარბაზნის სროლით წვიმის გამოწვევა; ამ საგნისთვის ამერიკის კონგრესმა ფულიც გადასდო, სცადეს დირენფორტის აზრის განხორციელება, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდაწყვეტილი ვერაფერი გამოარკვიეს.

დირენფორტის ღონისძიებამ მოაგონა ბოლონის უნივერსიტეტის პროფესორს ბომბიჩის წინად გამოთქმული თავისი აზრი, რომ შესაძლებელია სეტყვის ღრუბელი გაქარწყლდეს, თუ დროზე გავფანტეთ და მით სეტყვას გადიდება არ დავაცალეთ. ამიტომ ბომბიჩიმ ურჩია თავისს თანამემამულეთ განეახლებინათ ამერიკაში ნაცადი ღონისძიება. აი, რამდენიმე სიტყვა ცნობილის პროფესორისა იმ მოხსენებიდგან, რომელიც წარუდგინა 1891 წ. იტალიის სამეტეოროლოგო საზოგადოებას: „საჭიროა შესდგეს მემამულეთაგან კომიტეტი, რომელსაც დახმარება უნდა გაუწიოს მართებლობამ, სამეურნეო საზოგადოებამ, სამეცნიერო, საკრედიტო და საქველ-მოქმედო დაწესებულებამ და შეერთებულის შრომით შეამცირონ ის დიდი ზარალი, რომელიც სეტყვას მოსდევს.

„ეს კომიტეტი უნდა ენერგიულად შეუდგეს არტილერიის გამართვას და საქმე ისე მოაგვაროს, რომ წრეულს გამოირკვეს დაახლოვებით მაინც, შესაძლებელია თუ არა სეტყვას შევებრძოლოთ.“

„იმედს არა ვკარგავ, რომ მცოდნე კაცთა შორის გამოჩნდებიან ისეთნი, რომელნიც გამოიგონებენ ხელმისაწვდომს და ადვილ სახმარებელს სასროლს იარაღს“.

„მრწამს, რომ ჩემი იმედი, ჩვენის სამშობლოს საკეთილდღეოდ, განხორციელდება და ახლად გამართული არტილერია ხალხში განცვიფრებას და სიხარულს გამოიწვევს“.

„იქნება მითხრათ, რომ ეს შეუძლებელია და უსაფუძვლო, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ ხშირად უაღრესი უტოპია საქმეთ გადაქცეულა, როცა გარემოება ხელს უწყობდა მის განხორციელებას“.

ბომბიჩის მხურვალე მოწოდებამ უნაყოფოდ ჩაიარა და სეტყვის საბრძოლ იარაღის მოგონების საქმე მიყუჩდა, ვიდრე 1896 წ. სტირიის მემამულემ სტიგერმა სეტყვისათვის მოგროვილ ღრუბლების მყუდროება ზარბაზნის სროლით არ დაარღვია და სეტყვა ჟუჟუნა წვიმად არ გარდააქცია. სტიგერის გამამხნევებელი ცდა გაიმეორეს მისმა მეზობელმა მემამულეებმაც და სეტყვის საბრძოლ სტანციების რიცხვმა დაიწყო მატება: 1897 წ. უკვე 33 სტანცია იყო და შემდეგ 1898 წ. 56-მდე გამრავლდა.

რა თქმა უნდა, რომ პირველ ხანებში ბევრი ნაკლი ჰქონდა საცდელად მოწყობილ საქმეს და ამიტომ საჭირო იყო გაუმჯობესება ჯერ თვით სასროლ იარაღისა, რომელსაც სახელად მორტირა დაერქვა და მერე სროლისა.

დიდ-ხანს არ გაუვლია, რომ მცოდნე პირებმა შეიმუშავეს საუკეთესო ტიპი მორტირისა, ხოლო სტიგერმა გამოაქვეყნა ის პირობანი, რომელნიც ხელს უწყობენ საქმის სასურველად წარმართებას:

1, განცალკევებულის სტანციების არსებობა უსარგებლოა;

2, მორტირების სროლა უნდა უძღოდეს სეტყვის მოსვლას;

3, სროლა ხშირი უნდა იყოს;

4, სროლა მაშინ უნდა შესწყდეს, როცა სეტყვის ღრუბელი გაიფანტება.

სეტყვის საბრძოლი საქმე ამ ნაირად ავსტრიაში დაიწყო და იქვე განმტკიცდა, ხოლო სხვა ქვეყნებმა ავსტრიის მაგალითს წაჰბაძეს.

1898 წ. იტალიის პარლამენტის დეპუტატი და სამეურნეო ჟურნალის რედაქტორი ე. ოტტავი გაემგზავრა სტირიაში გასაცნობად, თუ როგორ არის მოწყობილი სეტყვის საბრძოლი საქმე, შესაძლებელია თუ არა სეტყვის ღრუბლის გაფანტვა მორტირების სროლით. აქ თუმცა ბ-ნი დეპუტატი დარწმუნდა, რომ ხშირად, მიუხედავად მორტირების გამუდმებულის სროლისა, სეტყვა თავისას არ აკლებდა ავსტრიის მემამულეებს, მაგრამ, რადგანაც ცდა ბედის მონახვევა, ოტტავიმ იტალიაში მაინც წაიღო ნიმუშად ერთი მორტირა და შეუდგა ცდას... იტალია უფრო ხშირად ისეტყვება, ვინემ სხვა ქვეყნები და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მორტირების რიცხვი თვალსაჩინოდ გამრავლდა და ერთის წლის შემდეგ იტალიაში 2,000-ზედ მეტი სტანცია მოქმედებდა.

1899 წლის დამდეგს მარკონის თაოსნობით დაარსდა პირველი საზოგადოება მორტირების სროლისა სეტყვასთან საბრძოლველად. იმავე 1899 წ. განმავლობაში კიდევ რვა საზოგადოება დაარსდა და ამით უფრო მკვიდრად მოეწყო საქმე.

შედეგი, რომელიც მოჰყვა იტალიაში სასროლ სტანციებისა და საზოგადოებათა დაარსებას, ისეთი თვალ-საჩინო და გამამხნევებელი იყო იქაურ მემამულეებისათვის, რომ განიზრახეს კონგრესი მოეწვიათ და შეერთებულის შრომით გამოერკვიათ ყოველივე ნაკლი სეტყვის საბრძოლველად მოწყობილის საქმისა. კონგრესი შესდგა იტალიის ერთს პატარა ქალაქში კაზა დი-მონტფერატოში, ბომბიჩის თავმჯდომარეობით.

ბ. ყ—სი.

(შემდეგი იქნება)

## მიწის ძვრის ამბები.
### შემახა.

⁂ ამ თვის 12-ს ბაქოს ქალაქის საბჭოს სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნა ქალაქის თავის მოადგილის მ. ა. ბელიავსკის მოხსენება გამგეობის მიერ დაზარალებულ შემახელთათვის გადადებულ 10,000 მანეთისა და იმ 1,000 მანეთის შესახებ, რომელიც გამგეობას დაუხარჯავს კიდეც იმავ შემახელთათვის სანოვაგის სასყიდლად. ამასთანავე ქალაქის თავის მოადგილემ მოახსენა საბჭოს, რომ თავდაპირველად განზრახული იყო ეს ფული ბინების მოსაწყობად მისცემოდათ გაჭირვებულ შემახელებს, რომელთაც ქალაქი მუქთად უპირებდა, თუ მოისურვებდნენ ბაქოში დასახლებას, დასასახლებელ მიწების მიცემასაც სომხისა და თათრის უბნებში. მაგრამ შემახელთა დამხმარე გუბერნიის კომიტეტი, რომელთანაც რჩევა ჰქონდა ქალაქის გამგეობას, იმ აზრს დაადგა, რომ ამ ფულით შემწეობა მიეცეთ დაზარალებულ შემახელთ ლუკმა პურით და ტანთსაცმელით და არა ბინების მოსაწყობად. გამგეობა შეუერთდა გუბერნიის კომიტეტის აზრს, რადგანაც დაზარალებულთა ბინების მოსაწყობად ერთობ დიდი ფულია საჭირო და გადადებული ფული-კი ცოტაა, და სთხოვს საბჭოს, რომ ხსენებული 10,000 მანეთი მოხმარდეს შემახელების უპირველეს საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

⁂ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესს ალექსის, ექსარხოსს საქართველოსას სამღვდელოებისათვის უბრძანებია, რომ ყოველ წირვა-ლოცვის შემდეგ ეკკლესიებში ფული მოჰკრიბონ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შემახელთა და შემახის მიდამო სოფლელთა სასარგებლოდ და საზოგადოდ მოყვასთა დახმარების სურვილი აღუძრან თავიანთს მრევლს.

⁂ სადგურ ქურდამირიდგან სწერენ «ტფილისის ფურცელს», რომ 13 თებერვალს ღამის სამს საათზე იქ საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა. მცხოვრებნი ბევრნი გამოვარდნილან გარეთ, ქუჩებში. ათი წამის შემდეგ მიწის ძვრა, თუმცა უფრო სუსტად, გამეორებულა. ქურდამირში ბევრი შემახელი ჩამოვიდა, მეტადრე ისეთნი, რომელთაც აქ სავაჭროები ჰქონდათ, ან ხელოსნობა იციან. ისინი თხოვნის მიცემას აპირებენ, რომ სახასო მიწები მიუზომონ მათ დასასახლებლად ქურდამირის ახალ ბაზრის ახლო.

⁂ დაზარალებულ შემახელთა სასარგებლოდ ამ თვის 16-მდის მიჰსვლია: «ნოვ. ობ.» რედაქციას 1,894 მანეთი 22 კ., «ტფილისის ფურცლისას»—2,291 მან. 86 კ., «კავკასისას» 4,410 მან. 10 კაპ.

## ახალი ამბავი

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს დილის 10 საათზე, პოეტის რაფიელის სულის მოსახსენებლად გარდაცვალების წლის თავზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.

⁂ შარშან დეკემბრის 10-ს ქალაქის საბჭომ შესცვალა უძრავ ქონებაზედ დასაფასებელ გარდასახადის წესი და წარუდგინა გუბერნიის საქალაქო საქმეების საკრებულოს დასამტკიცებლად. გუბერნიის საკრებულომ ეს დადგენილება არ დაამტკიცა. გუშინ-წინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა წარუდგინოს საბჭოს ხსენებულის საკრებულოს დადგენილება, რათა განხილულ და შეცვლილ იქმნას დასაფასებელ გარდასახადის საქმე.

⁂ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობამ ამოირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს სია წყლის მილის ქონებისა ავჭალაში და ქალაქში.—კომისიაში დანიშნულნი არიან ტეხნიკოსები ლისიცოვი და ქურდიანი, ბუჰლალტერები ოთოიანცი და გამგეობაში მოსამსახურე ნიკოლაძე. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა დაევალოს გამგეობის წევრს ენფიანჯიანცს კომისიის მიერ შემდგარ სიის გამო თავისი აზრი წარმოსთქვას და წარუდგინოს გამგეობას განსახილველად.

⁂ დღეს, 17 თებერვალს, ქართულ თეატრში მეორედ წარმოდგენილი იქნება ოპ. «დემონის» მეორე მოქმედება. ოპერის შემდეგ წარმოადგენენ კომედიას «აირია მონასტერი».

⁂ საქართველოს რუსეთთან შეერთების

100 წლის იუბილეს დროს ტფილისში ყოფნის სახსოვრად დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს უბოძებია როტმისტრის ბორის ესაძესათვის ბეჭედი თავის სახელის ვენზელითურთ.

## პუბლიცისტური რიხიანობა.

### (პასუხი ბ-ნ მოსაუბრეს)

ისეთი სასიამოვნო და მასთან სასარგებლო არა არის-რა ახალ მწერლისათვის, როგორც მის ნაწერის კრიტიკული გარჩევა ვისმესგან. რაიმე განყენებულ საგნით გატაცებულმა ახალგაზდა მწერალმა, ადვილად შეიძლება სრულებით ვერ დაინახოს ზოგიერთი ნამდვილი ფაქტი, მოკლედ და მარტივად გადასჭრას, რაც მეტად რთულია და ვრცელს განხილვას მოითხოვს, ზოგადის ფრაზებით თვალი აუხვიოს და დააბრმავოს მკითხველიც და თავის თავიც, გამოუცდელობის გამო მოკლედ და ბუნდად გამოსთქვას ის, რაც გარკვევით და აშკარად უნდა გამოითქვას. როდესაც თქვენ სიტყვიერად ლაპარაკობთ, ისე ადვილად ვერავინ შეამჩნევს თქვენს ულოღიკობას და სისუსტეს, როგორც მაშინ, როდესაც თქვენი აზრები დაწერილია თუ დაბეჭდილი. კრიტიკა საშუალებას გაძლევთ ხელ-ახლად გადასინჯოთ თქვენი ნათქვამი, დაუპირდაპიროთ კრიტიკოსის სიტყვებს, მრავალჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალოთ როგორც თქვენი, ისე მოწინააღმდეგეს აზრები, ყოველ მხრივ მოუაროთ, გამოსძებნოთ, სადა სჭირთ სისუსტე თუ სიმტკიცე. ამ მუშაობის შემდეგ, რაც მართალი და საფუძვლიანია თქვენს აზრებს შორის, უფრო გამორკვეული და განმტკიცებული შეიქნება თქვენთვის და რაც უვარგისია და შემცდარი, იძულებული იქნებით, ადრე თუ გვიან, უარ-ჰყოთ და განდევნოთ.

ამ მხრივ მეც სიამოვნებით მივეგებე ბ-ნ მოსაუბრის შენიშვნებს, მაგრამ ეგ სიამოვნება მალე შეურაცხყოფილ გრძნობის მწუხარებად შემეცვალა. არა იმიტომ, რომ ავტორმა ვითომ ჩემი შეცდომები მიჩვენა, როდესაც ისეთს რთულს საგანს მოვკიდე ხელი, როგორიც არის ეროვნება, დარწმუნებული ვიყავი, ჩემს ნაწერს სხვების დახმარება ეჭირვებოდა—შესწორება, განმარტება. მე შეურაცხ-მყო მან, რომ მომაწერეს ის, რაც სრულებით არ მიფიქრია და თან დამწამეს, გულახდით არა სწერ, გულ-წრფელი არა ხარო.

უწინარეს ყოვლისა, ავტორი ჩემს სტილს ეხება. ხომ გაგიგონიათ ფრანგული ანდაზა „ადამიანის სტილი—თვითონ ადამიანი არისო“. ბ-ნი მოსაუბრე მე რიხს მოკლებულს, მორცხვს და გაუბედავს მწერალს მიწოდებს. რიხი, მისის შეხედულობით, დიდი ღირსებაა. იმას არ მოსწონს ჩემი თავის დაჭერა ზოგიერთ რთულ საგნების გადაწყვეტის დროს. გაგონილა?! მწერალი გამბედავი უნდა იყოს: მოიქნიოს მარჯვნივ ხმალი, წასჭრას ათასს თავი, მოიქნიოს მარცხნივ—წასწყვიტოს კიდევ ათასს თავი! თქვენს წერას ბრახა-ბრუხი უნდა გაჰქონდეს, მტვერს უნდა აყენებდეს, ოლიმპიურის დიდებულობით უნდა წარმოსთქვას: ეს ასეა! სრული ჭეშმარიტებაა: მწერალი საზოგადოდ გამორკვეულის რწმენისა და შეხედულობის კაცი უნდა იყოს, მაგრამ ეგ იმას როდი ჰნიშნავს, რომ მან ყოველივე საგანი მარტივად და სწრაფად გადასწყვიტოს, თუმცა ეს რიხიანობა-კი იქნება, უეჭველია!

დიდის რიხით ამხედრდა ბ-ნი მოსაუბრე ჩემ წერილების წინააღმდეგ, მაგრამ მივყვეთ კვალ და კვალ და დავინახოთ, თუ რა შინაგანი ძალა აქვს მის რიხიანს სიტყვებს და რამდენად საფუძვლიანია მისი კრიტიკა.

საზოგადოდ ავტორი მე იმით მახასიათებს, რომ «საერთო ნიადაგის მძებნელთა» ვუახლოვდები. კეთილი; თუ გინდ აგრე იყოს. მაგრამ ნუ-თუ გგონიათ, ბატონო, რომ ამის თქმით ჩვენ ვარკვევთ ვისმე საზოგადოებრივ შეხედულობას, მის ზნეობრივს ფიზიონომიას? საფრანგეთის სოციალისტები გვერდში უდგნენ ბურჟუაზიულს ლიბერალებს კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და, განა, რესპუბლიკას რომ რაიმე საშიში მოელოდეს მონარქისტებისაგან, რესპუბლიკელები არ შეერთდებიან, ერთად არ იმოქმედებენ განურჩევლად მათის სოციალურ შეხედულობისა? საერთო ნიადაგის მომხრე შეიძლება ბურჟუა-ლიბერალიც იყოს და დემოკრატიც.

ჩემი პირველი «სადღეისო წერილი» («ივ». № 7) ჩემ შეხედულობათა მოკლე სქემას წარმოადგენს: ისტორია მიისწრაფვის დამოუკიდებელ თვითმოქმედ ადამიანის შექმნისადმი; ეს ძალა გამოიხატება და ჰმოქმედებს ორ სახედ, ორ შტოდ—ეროვნულად და დემოკრატიულად; წერილში მოკლედ არის განმარტებული პირველიც და (უფრო) მეორეც. შემდეგს წერილში («ივ.» № 18) მე ვიწყებ ჩემის აზრის ვრცლად განხილვა-გარჩევას დაწვრილებით ეროვნულ და დემოკრატიულ ძალისას და პირველად ვეხები ეროვნულს საკითხს (რადგან დღეს მასალების გამო ეს ჩემთვის უფრო ადვილია). მაგრამ მიკვირს, რაზედ ამყარებს ბ-ნი მოსაუბრე თავის სიტყვებს: «ორივე წერილის შინაარსი ერთი და იგივეა, ორივე საგანს ერი და ეროვნული პრინციპი შეადგენსო?» ამ შემცდარ დასკვნას მეორე შემცდარი დასკვნა მოსდევს, ვითომც მე «გარეშე ერისა არაფერი მრწამს და არც არაფერი მიმაჩნია». მე, ბ-ნო მოსაუბრე, რომელიც აღვიარებ პირველ წერილის სიტყვებს? რა უყავით დემოკრატიულს პრინციპს და თავისუფალ დამოუკიდებელ თვითმოქმედს ინდივიდს? ახირებული ლოღიკა განაგებს თქვენს მსჯელობას, სწორედ! ასეთ დასკვნის დასასაბუთებლად შემდეგი ჩემი სიტყვები ხომ არ მოგყავთ: «წარსულ საუკუნეში ყოველს დიდს საპოლიტიკო მოვლენას თითქმის ერთი და იგივე ხასიათი ჰქონდა—ეროვნული?» მაგრამ მგონია, თქვენთვის მეტი იქნება იმის განმარტება, რომ საპოლიტიკო ცხოვრება არ შეიცავს ადამიანის მთელს ცხოვრებას.

როგორც ზემოდ ნახსენებ დასკვნათა წინააღმდეგ, ისე ქვემო მოყვანილ თქვენ აზრთა დასარღვევად, ბ-ნო მოსაუბრე, აქ განვიმეორებ ჩემს დედა-აზრს: თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადამიანის ბუნებასთან ბრძოლას, მის დამორჩილებას, მისგან განთავისუფლებას, კაცობრიობის ისტორია წარმოგვიდგენს ადამიანის ადამიანისაგან განთავისუფლებას: რომ ერთი ადამიანი მეორის მონა-კი არ იყოს, იარაღი, საშუალება მისის კეთილდღეობისათვის, არამედ ყოველი ადამიანი სავსებით ეკუთვნოდეს თავისს თავს, იყოს თავისი ბატონი და გამგე. ეს ბატონ-ყმობა, ეს განთავისუფლება ორგვარია და ორგვარად ჰხდება, თუმცა ერთი საფუძველი-კი აქვთ. სხვა-და-სხვა მიზეზების ზედგავლენით, რომელთაც ახლა არ შევეხებით, არსდება განცალკევებული საზოგადოება—ტომი, მერე ერი თავისის ენით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით, ტერრიტორიით; ეს საზოგადოება იცავს თავის დამოუკიდებლობას სხვა საზოგადობისაგან—ეს ჰბადავს ეროვნულს ძალას, ეროვნულს პრინციპს. მაგრამ ადამიანი ვერ დაკმაყოფილდება თავის ტომის თუ ერის სხვა ტომისა და ერისაგან განთავისუფლებით, იგი თხოულობს პირადს დამოუკიდებლობას, ყველას ყველაფერში გათანასწორებას თვითონ ერის წევრთა შორის—ეს ჰბადავს ძალას დემოკრატიულს, დემოკრატიულს პრინციპს.

ესენია ძალნი, ცხოვრების გამგენი იმიტომ, რომ უმაგათოდ შეუძლებელია ადამიანის კეთილ-დღეობა, ცხოვრება შესწყდება მათ გარეშე და წინსვლა აღარ იქნება. ეს ძალნი წარმოადგენენ ადამიანის სურვილთა და მისწრაფებათ, რომელნიც ამოქმედებენ ადამიანს.

ჩვენ-კი არ უნდა დაგვაშინოს იმან, რომ ეროვნული და დემოკრატიული ძალნი აბსტრაქციებია, სხვა-და-სხვა კონკრეტულ მისწრაფებათა და საჭიროებათა შემაერთებელნი. მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა, თუ მრავალს მზგავს მოვლენებს არ გავაერთებდით, ცხოვრებიდგან არ განვაყენებდით ასე თუ ისე და საქმე გვექნებოდა მარტო კონკრეტულ ფაქტებთან.

აქედგან თავის თავად აშკარაა თქვენი შეცდომა, როდესაც ამბობთ: „პირველ წერილის თავში მან (ე. ი. მე) გვაუწყა, რომ ორი უმთავრესი ძალა განაგებს ახალს ცხოვრებასაო—ეროვნება და დემოკრატიზმიო. ხოლო მეორე წერილის დასაწყისშივე (სცდებით, ბატონო: ეგ უფრო გარკვევით იყო თქმული პირველ წერილშივე) იგივე ავტორი გვეუბნება: დღევანდელის ცხოვრების უმთავრესი გამგე დასულის ჩამდგმელი ძალა—დამოუკიდებელ და თვითმოქმედ ადამიანის შექმნისადმი მისწრაფებაო. ამნაირად ერთს ადგილას ბ-ნი კალამი ორ უმთავრეს ძალას ასახელებს... ეროვნობას და დემოკრატიზმს! მეორე ადგილას-კი ასეთ ძალად დამოუკიდებელ და თვითმოქმედ ადამიანისადმი მისწრაფება მიაჩნია. როგორ შევარიგოთ ეს წინააღმდეგობა?„ აქ წინააღმდეგობას მხოლოდ ის დაინახავდა, ვინც დაბრმავებულია „ბურჟუაზიულ“ ტერმინებით, თორემ სხვისთვის სულ ადვილად გასაგებია ორის ერთ წყაროდგან წარმომდგარ ძალის შეერთება, საზოგადო შემეცნებათა კიდევ უფრო გასაზოგადოება.

შემდეგ მოგყავთ ჩემი სიტყვები: „რა არის ეროვნული დამოუკიდებლობა? ეგ ინდივიდის, ადამიანის დამოუკიდებლობა და თვით-მოქმედება არ არის? ადამიანის თვით-მოქმედება აუცილებლივ და არსებითად მოითხოვს ეროვნულ თვით-მმართველობას.“ ამ სიტყვებს დიდის რიხით და ამაყად დასძენთ: „აქედან აშკარად სჩანს, თუ რა ნაირად დაუბრმავებია ჩვენი ავტორი ეროვნულ პრინციპს. მის მსჯელობიდან ის დასკნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ვითომც ეროვნული დამოუკიდებლობა ადამიანის დამოუკიდებლობას და თვით-მოქმედებას ჰნიშნავს.“ მხოლოდ თქვენთვის სჩანს ეს, ბ-ნო მოსაუბრე! თქვენ შეგიძლიანთ მხოლოდ „გამოიყვანოთ ასეთი დასკვნა!“ აბა, ვის გაუგონია და უნახავს, რომ ან ბუნებაში ან საზოგადოებაში ერთი მოვლენა თუ იწვევს მეორეს, აქედან მეორემ უთუოდ უნდა გამოიწვიოს პირველი! მე ვამბობ, რომ დამოუკიდებელი და თვითმოქმედი ადამიანი მოითხოვს საზოგადოების—ერის სხვა საზოგადოებისაგან დამოუკიდებლობას და თვით ეროვნულ საზოგადოებაში სრულის დემოკრატიზმის განხორციელებას, ე. ი. რომ $a=b+c$, აქედან თუ $a$ არის, უთუოდ იქნება $b$ და $c$-ც; თუ არის $b$ და $c$, აუცილებლივ იქნება $a$; თქვენ-კი ასკვნით, რომ $a=b$ (ან $c$-ს) და თუ $b$ არის ან $c$, უთუოდ უნდა იყოს $a$. დიდი განსხვავებაა! და, თუ გნებავთ, ბ-ნო მოსაუბრე, ჩემი წინადადება-კი არა, თქვენი დასკვნაა აბსურდი!

ჩემს აზრს სრულებით არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ადგილისა და დროის ვითარებისა გამო ზოგან ეროვნული, გარეგანი დამოუკიდებლობა წინ უძღვის ერის დემოკრატიზაციას, ზოგან პირ-იქით; ბოლოს და ბოლოს მაინც განხორციელდება პირველიც და მეორეც.

შემდეგ: მე რომ ვამბობ—წარსულში მეტი დამოუკიდებლობა და თვით მოქმედება იყო -მეთქი,—მკითხველისათვის, მგონია, მისახვედრი უნდა იყოს, რომ აქ გარეგანი დამოუკიდებლობა გვაქვს სახეში და არა ის, რომ წინად საზოგადოდ ყველაფერში უფრო დამოუკიდებელნი და თვით-მოქმედნი ვყოფილიყვით. ყოველს შემთხვევაში მე ვაღიარებ: აქ საჭირო იყო აზრის უფრო გარკვევით გამოთქმა და თუ ეს ასე არ მოხდა, ეს მხოლოდ გადამეტებულის სიფრთხილის მიზეზია.

„როგორც მოსალოდნელი იყო, განაგრძობთ თქვენ (მოსალოდნელი იყო მიტომ, რომ მე ნაციონალისტი ვარ): ავტორი წინააღმდეგია სომხებისა, რამდენად ეს უკანასკნელნი (მოგყავთ ჩემი სიტყვები) დააბრკოლებენ ჩვენს ეროვნულ თვით-არსებობას“. თქვენ არაფრით არღვევთ კერძოდ ამ ჩემს მოსაზრებას და მეც არაფერს გიპასუხებთ, მხოლოდ გადავიდეთ იმ „აღმოჩენაზე“, რომელიც ვითომ მე მომიხდენია (ნამდვილად-კი თქვენ მოგიხდენიათ, ბ-ნო მოსაუბრე!), სახელდობრ: „სომხები ჩვენზე მდიდრები არიან—ეს მათი ძალაა. მაგრამ დღესაც გვაქვს ჩვენ ერთი ძალა—ისტორიული“. „გესმით? დასძენთ თქვენ: ჩვენ გვქონია მხოლოდ ერთად-ერთი ძალა—ისტორიული! მაგრამ ის-კი აღარ ვიცით, ეროვნული და დემოკრატიული სადღა გაჰქრენ!“ ამ სიტყვებით თქვენ მომაგონებთ იმ მოჩხუბარს, რომელმაც უთუოდ რაიმე მიზეზი უნდა გიპოვნოთ და ჩხუბი აგიტეხოთ მაინც და მაინც. ერთი რომ, უბრალო ფრაზეოლოგიის გაუგებრობას იჩენთ აქ, ბ-ნო მოსაუბრე: ერთი აუცილებლივ როდი ჰნიშნავს ერთად-ერთს. მეორე—ნუ-თუ გგონიათ, რომ რაკი აღვიარე ორი უმთავრესი ძალა (გინდათ ერთი), სრულიად უარვყოფ მათ შემადგენელ პატარა ძალთა? აქ კვლავ ივიწყებთ თქვენ შემეცნებათა გასაზოგადოებას. მესამე—ზემოდ ნათქვამით მე ვუპირდაპირებ ერთმანეთს სომხების უპირატესობას და ჩვენს უპირატესობას, სომხების განსაკუთრებულს ძალას—ჩვენს განსაკუთრებულს ძალას; ეს როდი ჰნიშნავს სხვა ძალთა დავიწყებას ანუ უკუგდებას.

მე აღვნიშნავ მრეწველობის განვითარების აუცილებლობას და შემდეგ ვამბობ: „მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლიან თვალი მოვარიდოთ იმ მრავალგვარ უსამართლობას, რომელიც თან მოსდევს ამ პროცესს და არ გავითვალისწინოთ მომავალი... მკითხველს სახეში უნდა ჰქონდეს ყოველთვის ჩვენი დედა-აზრი და მუდამ არ უნდა გვთხოვდეს ვრცელს განმარტებას.“ თქვენ ეს არ მოგწონთ. „ეს მეტად ბუნდოვანად არისო ნათქვამი, სწერთ: გარწმუნებთ, ბ-ნო კალამო, რომ ესევე აზრი ბევრად უფრო ნათლად და გასაგებად პ. ჯორჯაძეს ჰქონდა ნათქვამი და მიკვირს, რათ არ ისარგებლეთ მისგან! ამ სიტყვებით თქვენ კლასთა ბრძოლას აფუჩეჩებთ. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში უფრო ვაჟკაცურად მოიქცა ბ-ნი ჯორჯაძე: მან აშკარათ აღიარა კლასთა ბრძოლა, მაგრამ მუშების პატრიოტულ გრძნობას მიმართა“. აქ რამდენი ფრაზაცაა, იმდენი შეუსაბამობაა. რა სთქვა, ბ-ნო

# ფელეტონი

## ბიბლიოგრაფია

Энциклопедическій словарь Брокгауза и Ефрона, т. XVI, Огюсть Контъ, т. XXII, Органическая теорія государства, Органическая теорія общества, т. XXXI, Соціологія, Гербертъ Спенсеръ, ქართულად თარგმნილი და გადმოკეთებული არჩილ ჯორჯაძის მიერ (იხ. „ცნობის ფურცელი“, №№ 1707, 1708, წერილი „მეცნიერული ბორძიკი“).

გულდადებით წავიკითხე არჩილ ჯორჯაძის «მეცნიერული ბორძიკი» და გატეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ კინაღამ თავბრუ არ დამეხვა და არ დავრეტიანდი. მართალია, ანტონ კათალიკოზი ამბობდა, საფილოსოფოსო საგანი მაღალ და ძნელად გასაგებ ენით უნდა იწერებოდესო, მაგრამ არჩილ ჯორჯაძეს გადაუჭარბებია ამ რჩევისთვისა. ახალგაზდა პუბლიცისტის საფილოსოფოსო დებიუტი—«მეცნიერული ბორძიკი» ისრე ბუნდოვანად არის დაწერილი, რომ თვით «ჯანყითა და ბურუსით» მოცულს ზანგ ხიხოსაც-კი შური მოუვა და თავის თანამეკალმეს შეჰნატრებს. აი, ორიოდე ნიმუშიც: „საზოგადოების ორგანებრივი განვითარება ბუნებრივ ძალთა ურთიერთ შორის ზედგავლენაზეა დამყარებული და როგორც წმინდა ბიოლოგიური პროცესსი ადამიანის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისთვის უარჰყოფს“... „ვინც ამტკიცებს, რომ საზოგადოება ან კაცობრიობა მთელი სხეულია და ამასთან ამ სხეულის ნიშნებს ვერ გვიჩვენებს, რადგან საზოგადოების სიმრთელე ხედვითი მცნებაა და არა წარმოდგენა, ის ნებსით თუ უნებლიეთ რეალურ ნიადაგს სცილდება და მეტაფიზიკის სფერაში შედის“... თქვენი რა მოგახსენოთ და ჩვენ-კი ვფიქრობთ, თუ «ცნობის ფურცლის» ფილოსოფოსმა მალე არ მოიშალა ამ კილოთი წერა, იქმნება ზოგი მკითხველი «მეტაფიზიკის სფერასაც» არ დააჯეროს და ფსიხიატარიის «სფერაში» შეიყვანოს! რა არ ჰხდება ამ ცოდვილ ქვეყანაზედ!?.. მაგრამ ნორჩსა და ჭაბუკ მეცნიერს მაინც ეპატიება ეს უნებლიეთი ნაკლი. ღმერთი მოწყალეა, მოვა დრო და არჩილ ჯორჯაძეც ისწავლის გაგებით წერას. ბეჯითობა და ცოდნის ხალისი არ აკლია და საქმეც ხომ ესაა.

გამამტერა აგრეთვე «მეცნიერულ ბორძიკის» მეცნიერულმა მოკამაზულობამ. ეს ორი პაწია საგაზეთო წერილი ნამდვილ მეცნიერულ ფორმით არის დაწერილი: სხოლიოებით სავსეა და არისტოტელიდგან დაწყებული ყველა ფილოსოფოსი შიგ არის მოქცეული. პირ-ღია დავრჩი, როცა არჩილ ჯორჯაძის «ერუდიციას» დავაკვირდი. ჩემთან ერთად რამდენი სხვა მკითხველიც გაოცდებოდა, როცა ამ «ერუდიციას» თვალს მოჰკრავდა! ხუმრობა საქმე ხომ არ არის—სიტყვას ისრე არ იტყვის, რომელისამე ფილოსოფოსის სახელი ზედ არ დააბერტყოს. კონტსა და სპენსერს ხომ ისე ათამაშებს, თითქოს კამათლებიაო!.. მე... მე-კი, ბეჩავს, ჯერაც არ წამიკითხავს კონტი და იმისი სისტემა მხოლოდ მილლისა და ლიუსის წიგნიდგან შემისწავლია. არჩილ ჯორჯაძე ტყუილად-კი არა ბრძანებს, პლებსი «უცოდინარობის მამაცია»... ჰმ, დალოცვილს ავიწყდება, რომ ყველა ხომ არჩილ ჯორჯაძე არ არის, კონტი და სპენსერი ზეპირად იცოდეს! აკი ამიტომ დონჯი შემოუყრია და თავმოწონებით მირჩევს—„სანამ მოგვცემდეს პასუხს ყველა ამაზედ, გურჩევთ ბ-ნ პლებსს გადაიკითხოს კონტის და სპენსერის თხზულებები და ეხლა მაინც დაუფიქრდეს იმას, რაც პირველის წაკითხვის დროს (კარგა ხანი იქმნება მას აქეთ) შეუმჩნევლად გამოჰპარვიათ“...

ღმერთი, რჯული, რომ წინადაც არ წამიკითხავს კონტის თხზულებები! გადაიკითხოსო... ისიც ათი უშველებელი ტომი! თითონ რომ გადაუბულბულებია, დალოცვილს ჰგონია, ყველა არჩილ ჯორჯაძე იყვეს! ერთი მცოდნე მწერალი ამბობს, კონტი ისრე ძნელი გასაგებია, რომ ტვინს გამოსწოვს მკითხველსაო. არჩილ ჯორჯაძე-კი ამხირებია— გადაიკითხე და მაშინ მომეცი პასუხი, უამისოდ კრინტი არ დასძრაო. დავლონდი და დავძმარდი. პასუხის მიცემა მინდოდა, მაგრამ კონტის წაკითხვა მეძნელებოდა...

დიდს საგონებელში ჩავვარდი. ჩემს დარდსა და ჯავრს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ ღმერთმა დაუმადლოს „ივერიის“ მეფელეტონეს, რომელმაც, ამას წინად, დიდად საგულისხმიერო წერილი დაბეჭდა — „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“ („ივერია“ № 21). გაჭირვებისაგან სწორედ ამ წერილმა დამიხსნა. როცა არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიას ყური მოვკარ, ვიფიქრე,—უთუოდ იქ ვიპოვნი იმის მეცნიერების გასაღებს-მეთქი. მართლაც-და, წავიკითხე თუ არა არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია, გონების თვალნი ამეხილნენ და ზეგარდმო ჭეშმარიტება მომევლინა. თუ გეპრიანებათ, აი, თვით ის ფსიხოლოგიაც - „კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისას სჯერდება, როცა თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვას შეჰყურებსო და სულ იმის ფიქრებსა და ცდაშია, რომ სხვისით შეივსოს თავისი დანაკლისიო“...ბიჭოს, ეს რა კარგი რამ ყოფილა-მეთქი! ვინ იცის, იქმნება ამ ფსიხოლოგიის პატრონსაც თავისი საკმარისი არა აქვს და სხვისით უნდა შეივსოს დანაკლისი-მეთქი... დამებადა ეჭვი და, როგორც მოგეხსენებათ, ეჭვი ხომ ჭეშმარიტების გზაა.

ღვთის წინაშე, არჩილ ჯორჯაძეს წინადაც კი ვატყობდით კოჭებში, რომ „თავისი საკმარისი არა აქვს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ სხვისით შეივსოს თავისი დანაკლისი“. „კვალიც“ ხომ ამ აზრისაა დიდი-ხანია უკიჟინებს არჩილ ჯორჯაძეს—ჯერ მოუმზადებელი ხარ და ბევრი რამ გაკლიაო... მაგრამ ღმერთმა ისევ „ივერიის“ მეფელეტონეს უშველოს. ნამდვილი ჯადოსანი და კაცის სულის მესაიდუმლე ყოფილა! საიდგან გაიგო ასე ზედ-მიწევნით არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია!..

წინად, ვიდრე ეჭვი შემეპარებოდა, არჩილ ჯორჯაძის „ერუდიცია“ მეც მაოცებდა და მაკვირვებდა. როცა იმისი ფსიხოლოგია შევისწავლე, მაშინ-კი ვიფიქრე,—ალბად ამ ვაჟბატონს თავისი საკმარისი არა აქვს და სხვისით შეივსო დანაკლისი, თორემ ამ მოკლე ხანში როგორ გადაიკითხავდა სპენსერს, კონტს და ამოდენ ფილოსოფიურს წიგნებსა-მეთქი... დიდი ყურადღება მივაქციე იმ ამბავსაც, რომ ჯორჯაძემ მიბრძანა - ჯერ სპენსერის და კონტის თხზულებები გადიკითხე და მერე პასუხი მოგვეციო. აქ უთუოდ ეშმაკობაა-მეთქი... ცხადად ვატყობდი,—არჩილ ჯორჯაძეს არა თუ წაუკითხავს სპენსერისა და კონტის თხზულებები, თვალითაც-კი არ უნახავს, არც კი უსუნებია... რაღა კოდელი ნინო იყო საჭირო, მივხვედრილიყავ, რომ თავისის რჩევით იმას მხოლოდ თვალების აბმა და გზის დახლართვა ჰსურდა. მაგრამ, აბა, რა კაცს მოატყუებდა!..

რა-კი ჯორჯაძის ფსიხოლოგია შევიგნე, ავიღე ბროკგაუზის და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი და დავიწყე კითხვა. წავიკითხე მარტო ხუთი წერილი, რომელიც ამ ფელეტონის სათავეშია მოქცეული. წავიკითხე და სახტად დავრჩი. თურმე ნუ იტყვით, არჩილ ჯორჯაძეს არა თუ „თავისი საკმარისი არა ჰქონია“, არამედ „თავისი“ სრულიად არა ჰქონია-რა და მთელი თავისი „მეცნიერული ბორძიკი“ სხვისით შეუვსია. ეს ახალი ამბავი იმდენად შესანიშნავია, რომ კარგი იქმნება მკითხველი ჩვენს ლიტონ სიტყვას არ ენდოს და ყოველივე თითონ შეამოწმოს.

არჩილ ჯორჯაძეს თავისი დანაკლისი სხვა-და-სხვა გზით შეუვსია. იმისი „მეცნიერული ბორძიკი“ ზოგან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია და ზოგან კიდევ გადმოკეთებულია. გარდა ამისა, შიგა და შიგ ამოგლეჯილი ადგილები ერთი ერთმანეთზედ უხეიროდ მიკოწიწებულია და ამის გამო მთელი „მეცნიერული ბორძიკი“ სისტემას მოკლებულია. და სამწუხარო კიდევ ისაა, რომ ის ფილოსოფური ბაბილონის გოდოლი ტანჯულის და გვემულის ენით ნათარგმნია და გადმოკეთებული.

მოგეხსენებათ, წერილში „ცნობის ფურცლის მედროშე“ („ივერია“, № 16) ჩვენ ვუჩვენეთ, რომ არსებობს ორგვარი ორგანებრივი თეორია: სახელმწიფოისა და საზოგადოებისა. პირველი მეტაფიზიკური მოძღვრებაა, ხოლო მეორე მეცნიერული. არჩილ ჯორჯაძეს აუღია ბროკგაუზისა და ეფრონის სლოვარი, წაუკითხავს ვ. გესსენის წერილი—**Органическая теорія государства** და ამ თხზულებიდგან ამოუწერია თეორიის ისტორია, რომელსაც ისე უამბობს მკითხველს, თითქოს თავისი გამონარკვევი და გამოძიებული იყვეს. აი, სიტყვა-სიტყვით არჩილ ჯორჯაძის და ვ. გესსენის ნაწყვეტები ორგანებრივის თეორიისა.

| | |
|---|---|
| «არისტოტელიც მრავალ ხელებიან, მრავალფეხებიან და მრავალგრძნობიერ კაცს ამსგავსებდა სახელმწიფოს სხეულს“... | «У Аристотеля точно такъ же встрѣчается сравненіе государства съ однимъ человѣкомъ-многоногимъ, многорукимъ, имѣющимъ множество чувствъ.» |
| «საშუალო საუკუნოებში, სოლოსბიურის განმარტებით, სამღვდელოება სახელმწიფოს სულს შეადგენდა. ამ სულს სახელმწიფოს სხეულში, თვით სახელმწიფოს წარმომადგენელზე, ხელმწიფეზე უპირატესობის უფლება ჰქონდა». | «Духовенство, по мнѣнію Солсбери, является душою государства и, какъ таковое, имѣетъ власть надъ всѣмъ тѣломъ, не исключая головы государства, т. е. государя»... |
| «ახალ ხანაში ამ თეორიის მიმდევარნი გობზი, სპინოზა და რუსსო იყვნენ. გობზის აზრით, სახელმწიფო ისე «იკვებება“, როგორც ადამიანის სხეული. მის ორგანიზმში, სისხლის მაგივრად, ფული ტრიალებს. სახელმწიფური უფლებები სახელმწიფოს ორგანოებია და სახელმწიფოს ახალშენები—მისი შვილებია“... | «Въ новое время органическія аналогіи встрѣчаются у Гоббса, Спинозы, Руссо. По мнѣнію Гоббса, государство «питается»; въ организмѣ его, подобно крови, циркулирують деньги; государственныя власти являются органами государства, колоніи—его дѣтьми». |
| („მეცნიერული ბორძიკი“ წერილი I, სვეტი 2). | («Брокгаузъ и Ефронъ, XXII, Органическая теорія государства, стр. 96). |

საუბრე, ბ-ნმა ჯორჯაძემ? ის, რომ მრეწველობის განვითარება აუცილებელიაო, თუ ის, რომ ამ განვითარებას თან მოსდევს უსამართლობაო (რასაკვირველია, კაცთა შორის, რადგან საგნებს შორის უსამართლობა არ იქნება)? ეს ბ-ნ ჯორჯაძეზე წინად თქვენ არ გითქვამთ, ან ორივეზე ადრე თქვენზე უკეთესებს უფრო უკეთ? ამასვე არ იტყვით დღესვე, ამას უარ-ჰყოფთ? მე ვაფუჩეჩებ კლასთა შორის ბრძოლას იმიტომ, რომ არ ვლაპარაკობ შაბლონურ, გაზეპირებულ ფრაზებით! უკაცრავად! თავს შეიწუხებდით და კარგად ჩაუკვირდებოდით ჩემს დედა-აზრს (არა იმ ეროვნებას, რომლის გარეშე, თქვენის სიტყვით, მე არაფერი მრწამს და არც არაფერი მიმაჩნია), სხვა-და-სხვა ალაგას გამოთქმულს აზრებს—რომ ,,ყველა წოდება ერთგვარად ვერ ემსახურება ჩვენს დედა მიზანს და ცხადია, საითკენ იქნება მიმართული ჩვენი სიმპატია'', რომ „ერი იყოფება ორ ჯგუფად—შრომის მყიდველებად და შრომის გამყიდველებად'', რომელთა შორის მყარდება უსამართლობა, ,,რომ ერის ყველა წევრი გათანასწორებულ უნდა იქმნას ყველაფერში'',—ჩაუკვირდებოდით ამას და თქვენ არ წარმოსთქვამდით ისეთს ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებას. მე აღვიარებ მრეწველობის პროცესში უსამართლობას, მუშების გამწარებულ და თავ-გამოდებულ მისწრაფებას და მოთხოვნას დამოუკიდებლობისა და თვითმოქმედებისას. მე ვამბობ: «თვით კაცობრიობის არსებობა და ადამიანის დამოუკიდებლობა და თვით-მოქმედება რომ შეებრძოლოს ერთმანეთს, უნდა დასძლიოს მეორემ, უნდა დაიღუპოს პირველი», და მე ვაფუჩეჩებ კლასთა ბრძოლას?...

მე ვიცი საიდგან წარმოსდგება ჩემის აზრების თქვენ მიერ გაუგებრობა, ბ-ნო მოსაუბრე, მე მესმის თქვენი ფსიხოლოგია. იგი მარტივია და მხოლოდ მარტივი!

მე ნაციონალისტი ვარ, **ergo** ბურჟუა. სხვა ყოველივე თავის თავად ცხადია. თქვენ უნებლიედ თვითონ, თქვენდა უნებურად, ბურჟუაზიულ ნიადაგზე სდგეხართ, როდესაც ჰფიქრობთ, რომ ეროვნობა ბურჟუაზიული პრინციპიაო. ერთი მითხარით: ბურჟუაზიულ პრინციპს იცავდა ბებელი, როდესაც შარშან ჩინეთის ამბებისა გამო გამოაცხადა: ყველა ერი თავისუფლად უნდა განვითარდესო? ან ბურჟუები იყვნენ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები, რომ აღიარეს ეროვნულ-ფედერატიულ ორგანიზაციის აუცილებლობა თავის პარტიისათვის და ის, რომ ავსტრია უნდა წარმოადგენდეს სხვა და სხვა ავტონომიურ ერთაგან შეკავშირებულ დემოკრატიულს სახელმწიფოს? ან ბურჟუაზიის ნაყოფია ბურების მიერ თავის დაცვა? თუ გნებავთ, ინგლის-ტრანსვაალის ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმისაგან წარმოსდგება, თუ სახეში ვიყოლიებთ მხოლოდ ინგლისელებს; ბურების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა-კი ნამდვილი დემოკრატიული ნაციონალიზმია. რის დამხინჯება არ შეიძლება, ბატონო! ბურჟუაზიამ სახარებაც-კი თვისის ჯიბის გასასქელებელ იარაღად გადააქცია, მაგრამ ამიტომ სახარება უნდა დავგმოთ?

ამაზე გავჩერდები, სხვა თქვენ დაუმატეთ. ტყუილად იხსენიებთ ირონიით ეროვნულს საგანს, რომ „იგი მეტის-მეტად ძველი და გაცვეთილია ჩვენს მწერლობაშიაც-კიო“. ძველია, მაგრამ, როგორც თქვენ თითონ ამბობთ, სრულიად გამოურკვეველია და ამ საგნის შესახებ ერთის აზრი მეორესას არ ეთანხმება. ვიდრე არ გამოვარკვევთ, არ გავიგებთ, ეროვნული საგანი მუდამ ახალი იქნება ჩვენთვის და საინტერესოც. საქმე გარეგანი სიძველე თუ სიახლე როდია, არამედ ის, თუ რამდენად ვიცნობთ საგნის შინაგან აგებულებას *).

დასასრულ—როდესაც თქვენ მეუბნებით: „აფუჩეჩებთო“. ამით იმას ამბობთ, რომ ვითომ მე განზრახ, შეგნებით ვმალავ და ვფარავ რასმე, თითქოს რისიმე ან ვისიმე მერიდებოდეს და მეშინოდეს. ამისი საბუთი სრულიად არა გქონიათ და გახსოვდეთ ესეც, ბ-ნო მოსაუბრე, რომ ლიტერატურული ეთიკაც „საერთო ნიადაგია“ ყველასათვის!

**კალამი.**

---

*) მისაყვედურეთ, რად არ ვანმარტე ეროვნება. იქონიებდით მოთმენას: ამაზე გვექნება ვრცლად ლაპარაკი თავისს დროზე; ცოტაოდენი-კი უკვე დაწერილშიაც არის.

ავტ.

# ნარკვევი.

„Вѣст. Евр.“-ის უკანასკნელს ნომერში, თებერვლის წიგნში, დაბეჭდილია წერილი დ. ი. ბაგალეისა სტუდენტობის ამხანაგობათა და ორგანიზაციების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ

> „ამ ჟამად ბევრსა ლაპარაკობენ, რომ საჭიროა უფრო ცხოველი ურთიერთობა პროფესორებისა და სტუდენტობისა. საჭიროა შეიცვალოს ის წეს-წყობილება, რომლის წყალობითაც ერთნიცა და მეორეც სრულიად განცალკევებულნი არიანო. პრაქტიკულ მუშაობისა და მეცადინეობის შესახებ იურიდიულს ფაკულტეტზედ ისეთს მნიშვნელობას აძლევენ ახლა, თითქო წინად სრულიად არავითარი ამგვარი არა ყოფილიყოს-რა. ბევრი დარწმუნებულია, რომ პრაქტიკული მეცადინეობა შესაძლოა მხოლოდ სამკურნალო და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზედ, ნამდვილად-კი ასეთი მეცადინეობა მუდამ იყო ხოლმე ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზედაც და იურიდიულზედაც და ეს მეცადინეობა ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა და იცვლიდა თვის სახეს. საზოგადოდ დაახლოვებული გაცნობა რუსეთის უნივერსიტეტების ისტორიისა, (სამწუხაროდ, ნაკლებად არის შემუშავებული ეს ისტორია) დაგვარწმუნებდა, რომ მრავალი ღონისძიება, რომელიც დღეს ახალი ჰგონიათ, წინადაც არსებობდა და უეჭველი სარგებლობაც მოჰქონდა, მაგრამ რაკი ისტორიული ტრადიცია არ არსებობს ჩვენში, სრულიად დავიწყებულია ჩვენგან.

შემდეგ ბაგალეი ამბობს, რომ ყველა უნივერსიტეტში სტუდენტების საზოგადო ცხოვრებას თავისი ხანგრძლივი, თითქმის შეუწყვეტელი ისტორია ჰქონდა და სასურველია ეს ისტორია აღდგენილ იქმნას როგორც მასალების შემწეობით, ისე იმათის ცხოველის გახსენებით და მოგონებით, რომელნიც ამ ცხოვრებაში იღებდნენ მონაწილეობასაო.

> ეს საინტერესო საისტორიო ცნობანი დაგვარწმუნებდა,—განაგრძობს ავტორი, რომ დღეს აღძრულს საგანს სტუდენტების ორგანიზაციის შესახებ მტკიცე და ღრმა ფესვები აქვს რუსეთის სტუდენტობის წარსულს ცხოვრებაში. ორგანიზაციების აზრი იყო ნივთიერად ერთ-ურთის დახმარება, გონებრივი, ზნეობრივი და საესტეტიკო განვითარება და სხ. რა-კი ეს ასეა, მაშ, დღეს ახალი რამ კი აღარ არის შესაქმნელი, არამედ აღსადგენია ძველი, რომელიც ჰქრებოდა იმიტომ-კი არა, რომ სიცოცხლის პირი არ ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ გარეშე გარემოებანი ხელს არ უწყობდა.

თავის აზრის დასასურათებლად და დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს მაგალითები ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიიდგან. ამ უნივერსიტეტის ისტორიის შესწავლას ადგია ამ ჟამად ბაგალეი და მისი მაგალითები შეეხება ამ უნივერსიტეტის ცხოვრებას სულ პირველ ხანში 1830 წლამდე.

დასასრულ, ავტორი ასე დაასკვნის თავის აზრს:

> ცხადია, რომ ასის წლის წინად სტუდენტებს შორის უკვე არსებულა: დაბადების საზოგადოება, სამეცნიერო-სალიტერატურო ამხანაგობა, სტუდენტების მიერ დაბეჭდილი სამცნიერო და სალიტერატურო გამოცემანი, საუბარნი პროფესორების სტუდენტებთან და, ბოლოს, სახელმწიფო ხარჯზედ მყოფ სტუდენტებს თავიანთ ძალ-ღონით უწარმოებიათ თავიანთ შენახვისა და გამოკვების საქმე. ამას გარდა, თვით უნივერსიტეტი ცდილა, მიეცა სტუდენტებისათვის ყოველ გვარი ღონის-ძიება საესტეტიკო და საფიზიკო განვითარებისათვის, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, ყოფილა სასტუდენტო ორგანიზაციები და დანიშნულებათ ის ჰქონია, რომ გონებრივ, ზნეობრივ და ნივთიერად განეკარგებინა მათი ცხოვრება. ცხადია, ახლაც, ასის წლის შემდეგ, რუსეთის სტუდენტობა, უნდა ვიფიქროთ, ნაკლებად არ არის მოწიფული ამისთანა ამხანაგობათათვის და ამისთანა ამხანაგობას შეუძლიან არა თუ დააკმაყოფილოს მისნი სულიერნი მოთხოვნილებანი, არა-თუ გადაიქცეს მძლავრ ღონისძიებად მის ძალ-ღონის ჰარმონიულ განვითარებისათვის, არამედ ყოველ ამასთან ერთად, შეუძლიან გადაიქცეს მშვენიერ სკოლად და აღზარდოს მათ შორის გრძნობა საზოგადოობრივობისა; ეს გრძნობა დამყარებული იქნება პრაქტიკულ მოქმედების საღს საფუძველზედ და ამ სახით მშვიდობით ივლის წინ სტუდენტობა საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილოდ.

# უცხოეთი

**ესპანია.** დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ესპანიაში, თითო-ოროლა გონიერ და შორს მხედველ პუბლიცისტის გარდა, რომელნიც გულდასმით ადევნებდნენ თვალ-ყურს მუშათა მოძრაობას როგორც თვით ესპანიაში, ისე საზღვარ-გარედ, არავინ არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდა სოციალურს და ეკონომიურს კითხვებს. მთავრობა და მწერალთა უმრავლესობა ჰფიქრობდა, რომ, თუ-კი სურვილი იქმნება, ადვილად შეიძლება მოძრაობის ჩაქრობაო, რომელიც ძველ წეს-წყობილებას განადგურებას უქადის. ზოგი კიდევ თვალ-ყურს არიდებდა ახალს მოვლენას და უზრუნველად გაიძახოდა, რომ არავითარი კლასობრივი და ეკონომიური ბრძოლა არ არსებობს; ყოველივე ნაყოფია გატაცებულ და მოუსვენარ კაცთა მოქმედებისაო. მაგრამ სინამდვილემ მალე შეაცვლევინა აზრი ერთთაცა და მეორეთაც. კარგა ხანია ესპანიაში თავი იჩინა ბრძოლამ კაპიტალისა და შრომის შორის. ყველაზედ ნათლად ამას ის არეულობანი, გაფიცვანი, აღელვებანი გვიჩვენებენ, რომელნიც ესპანიის შინაურ ცხოვრების სცენად გარდაიქცა ამ ბოლოს დროს. მართალია, ესპანიაში ვაჭრობა-მრეწველობა ისე ძლიერ არ არის განვითარებული, როგორც სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ რაც განუვითარებლობამ დააკლო, ის ესპანელთა გრძნობიერმა და ფიცხმა ხასიათმა შეავსო. გამწვავებას ხელი შეუწყო აგრეთვე ორმა გარემოებამ: მიწათ-მოქმედების დაქვეითებამ, რის გამოც მომქმედი ვეღარ იკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ცხოვრების გაძვირებამ ქალაქებსა და სოფლებში. ქარხნის მუშამ ესპანიაში ცოტა რამეს კიდევ მიაღწია, მაგრამ სოფლის მუშა იმავე პირობებში იმყოფება, რა პირობებშიაც ასის წლის წინად იყო. ამ მუშათა უმრავლესობა დღეში 30 კაპეიკს იღებს, ხოლო 30 კაპეიკით ცხოვრება ისეთ სიძვირეში, როგორიც ესპანიაშია, ყოვლად შეუძლებელია.

მუშათა კლასი მხოლოდ ამ ბოლოს დროს მიჰხვდა, რომ დღევანდელ რეჟიმის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობენ იმ დრომდე, ვიდრე არ შეერთდებიან. ორი ძალა იზიდავს დღეს ესპანელ მუშებს: სოციალიზმი და ანარქიზმი, პირველი ევოლუციონურ გზას ადგია, მეორე—რევოლუციონურს. პირველი შრომას იცავს და მუშათა კლასის კეთილ-დღეობას თხოულობს; მეორე—ყველაფერის ერთბაშად დანგრევასა და განადგურებას სცდილობს. სოციალიზმს ცოტა მომხრე ჰყავს ესპანიაში; უფრო გავრცელებულია ანარქიზმი: შეიძლება ესეც ესპანელთა ცხარე ხასიათის ბრალი იყოს. სოციალიზმის გავრცელებას ხელი შეუშალა აგრეთვე მთავრობისა და მოხელეთა მეცადინეობამ, რომელნიც არაფრის გულისათვის არ უშვებდნენ და უშვებენ სოციალისტებს პარლამენტში.

როგორც ზემოდაც ვსთქვით, მთავრობა და ბურჟუაზიის წრენი თვალ-ყურს არიდებდნენ მუშათა მოძრაობას და ან ძალით სცდილობდნენ მოძრაობის ჩაქრობას, ან კიდევ [illegible] ნენ, რადგანაც დროებითი, წარმავალი [illegible] მაგრამ გავიდა დრო და მათაც იცვალეს აზრი; დარწმუნდნენ, რომ ყოვლად არეულობებს და უწესოებებს, რომელიც შედეგად მოსდევდა მშრომელთა გაჭირვებულ, აუტანელ მდგომარეობას, რამე მალამო ეჭირვება. მთავრობა შეუდგა საკანონმდებლო ღონისძიებათა შემუშავებას მუშათა სასარგებლოდ. ამ მხრივ ყველაზედ მეტი ისევ კონსერვატიულმა მინისტრმა დატომ გააკეთა. დატომ დააწესა 13 საათის სამუშაო დღე მოზრდილთათვის; ქალთათვის დააწესა 10 საათის მუშაობა, აღკრძალა ქალთა შრომა ღამ-ღამობით, აღკრძალა მცირე-წლოვანთა (10 წლამდე) მუშაობა, გამოარკვია მუშაობის გამგეთა პასუხის მგებლობა იმ შემთხვევისთვის, თუ მუშა დაშავდა და სხვ. დატოს ეხლანდელი მოადგილენიც ცდილობენ გააკეთონ რამ მუშათა სასარგებლოდ. უმთავრესად ეხლანდელი მთავრობა სხვა ერთა მიერ გაკვლეულ გზას მისდევს, მაგრამ მეტად ზანტად, მეტად ზარმაცად.

ყოველივე ეს აშკარად ჰმოწმობს, რომ მშრომელ კლასთა ორგანიზაციებმა საკმაო ძალა მოიპოვეს, რადგანაც საჭირო შეიქმნა მათთვის ზრუნვა, მეცადინეობა; აშკარაა ეს მით უფრო, რომ აქამომდე, ვიდრე ორგანიზაციები არ გაჩნდებოდა, არაფერი დაუთმიათ მშრომელ კლასისათვის. ამ საჭირბოროტო საქმეს მთავრობასთან ერთად ინტელიგენციამაც მიაქცია ყურადღება. იგიც შეუდგა მუშათა კლასის მდგომარეობის შესწავლას, იმ კლასის, რომელსაც, ეჭვი არ არის, დიდ როლს უმზადებს ახლად დამდგარი საუკუნე. სწავლულნი და პუბლიცისტნი ხშირად ირჩევენ თავიანთ შრომის თემად მუშათა კითხვის რომელსამე ნაწილს. აი, ამ ჟამადაც მადრიდის „ატენეო“—სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოება, რომელსაც სამეფოს ყოველ ქალაქში აქვს განყოფილება,—გულმოდგინედ იკვლევს ერთ მოხსენებას—„მუშათა კითხვას“. კამათში სხვა-და-სხვა მოძღვრების მიმდევარნი იღებენ მონაწილეობას, კონსერვატორებიდგან დაწყებული ანარქისტებამდე. დღეს თითქმის მთელი პრესსა, სწავლულნი და მკვლევარნი სცნობენ, რომ მუშათა არეულობათა მიზეზი მათი მართლაც-და გაჭირვებული მდგომარეობაა. ზოგიერთი გაზეთები მეტად გულსაკლავ სურათებით გვიხატავენ მშრომელ კლასთა გაჭირვებას. ერთმა გაზეთმა—„Corresp. de Espana“ მთელ სახელმწიფოს ჟურნალ-გაზეთობას მიჰმართა და ურჩია, ხმა აიმაღლოს მდიდართა გაუმაძღრობის მსხვერპლად ქცეულთა სასარგებლოდ, გაადვიძოს საზოგადოებრივი აზრი და ამ რიგად ხელი შეუწყოს უსამართლობის მოსპობას.

მუშათა დასი, გაფაციცებით ადევნებს-რა თვალყურს მთავრობის მოქმედებას და საზოგადოების მეცადინეობას, თავისს მხრივ გადაჭრით აცხადებს, რომ მუშათა კლასნი ყველაფერს შესძლებენ და ყოველ თავისს სურვილს მიაღწევენო. ეს კლასნი, ეკონომიურ ბრძოლის წყალობით, ან საკანონმდე-

---

როგორც ჰხედავთ, ახალგაზრდა მეცნიერს „თავისი დანაკლისი“ გობზის თეორიის უცოდინრობისა ისრე ვრცლად შეუვსია, რომ სიტყვაში ივსება სხვისი ფრჩხილებიც-კი არ გამოჰპარვია, თუმცა, მეორეს მხრივ, შეცდომაც მოჰსვლია: **подобно крови** უთარგმნია—„სისხლის მაგივრად“, **„государственныя власти“**—„სახელმწიფურ უფლებებად“...

ორგანებრივს თეორიას სახელმწიფოისას მეცხრამეტე საუკუნეში სახელოვანნი გერმანიელნი მოძღვარნი აღმოუჩნდნენ, მაგ. შელინგი, კრაუზე, ბლუნჩლი. ყოველივე ეს მოხსენებულია ზემოდ დასახელებულ გესსენის წერილში. რასაკვირველია, „ცნობის ფურცლის“ მეცნიერს აქაც „თავისი დანაკლისი შეუვსია“ და სხვისი თავისის სახელით გაუსაღებია. ჩვენი შინაური მეცნიერი მეტადრე დიდს ყურადღებას აქცევს ბლუნჩლის. ასე გასინჯეთ, სხოლიოში იმის თხზულებაზედ **„Изслѣдованія о церкви и государствѣ“** თითს უშვერს—აი, ეს თხზულება წამიკითხავს და იქიდგან გიზიარებთ აზრებსაო და ბოლოს ასე დასძენს: „ბლუნჩლი სრულ მსგავსებას ხედავდა ორგანიზმის და სახელმწიფოს შორის და იქამდისაც მივიდა, რომ სისხლის სამართალს ჭიპს ადარებდა და საერთაშორისო მმართველობას—სქესობრივ ინსტინქტს. სახელმწიფო სხეული ვაჟკაცის სხეულიაო (l'ètat est l'homme), რადგან ყოველივე სხეული რომელიმე სქესს უნდა ეკუთვნოდესო“ („მეცნიერული ბორძიკი“ 1, სვ. 2). არა უშავს-რა, ყოველივე ეს ხეირიანად არის ნათქვამი, მაგრამ საუბედუროდ ისაა, რომ მთელი ეს «ტირადა» იმავე გესსენის წერილიდგან არის ამოგლეჯილი—**„Гораздо дальше идетъ Блунчли“... „уголовное право сравниваетъ съ пупкомъ, международное управленіе—съ половымъ инстинктомъ“... (ib. ст. 97)**. ეტყობა, წერის დროს არჩილ ჯორჯაძე მეტად აჩქარებულა, ისრე უცნაურად აჩქარებულა, რომ ნახტომიც-კი შეშლია. მაგალითებრ, ავტორის სიტყვით, ბლუნჩლი ამბობს—«სახელმწიფოს სხეული ვაჟკაცის სხეულიაო»—l'ètat est l'homme... მაგრამ ეს ფრანგული ფრაზა დედანში მოყვანილია აზრის გამოსახატავად-კი არა, არამედ ბლუნჩლის თხზულების **«Изслѣдованія о государствѣ и церкви“** პირველ ნაწილის სათაურად არის ნახმარი: **„въ первомъ изъ нихъ (изслѣдованій), озаглавленномъ: „L'état est l'homme“... (ibid)**. არჩილ ჯორჯაძეს-კი ბლუნჩლის თხზულების პირველ ტომის სახელი ავტორის ტექსტის ფრაზად მოსჩვენებია!..

სახელმწიფოს ორგანებრივის თეორიის შემდეგ „ცნობის ფურცლის“ მეცნიერი გადადის სოციოლოგიაზედ. აქაც ავტორს, რაც-კი სოციოლოგიის შესახებ საჭიროდ დაუნახავს, უსესხნია, ნათხოვარი დაუსაკუთრებია და ისრე განუზიარებია მკითხველისათვის. აი, ნიმუშებიც:

| | |
|---|---|
| «სოციოლოგიას მხედველობაში საზოგადოება ჰყავს. საზოგადოება უფრო ვრცელი და განიერი ასპარეზია, ვიდრე სახელმწიფური სხეული». («მეცნიერული ბორძიკი» 1, სვეტ. 3). | «Соціологія имѣетъ въ виду общество, принимая это понятіе въ болѣе широкомъ смыслѣ, нежели понятіе государства». (Энц. Сл. Орган. теор. общ., стр 99). |
| „კონტის შეხედულობით, მსოფლიოში ყოველგვარი სხეული (тѣла) ორგვარად იყოფება: ზოგი სხეული მკვდარია, ზოგი ცოცხალი. ორგანებრივი ფიზიკაც, ეს წყარო სინამდვილის განმარტებისა, ორ ნაწილად იყოფება: ორგანებრივ და არა-ორგანებრივ ფიზიკად. სოციოლოგია ორგანებრივ ანუ „სოციალურ ფიზიკის» განყოფილებად უნდა ჩაითვალოს“(«მეცნიერული ბორძიკი“ 1, სვეტ. 3). | «Всѣ предметы, существующіе въ мірѣ, Контъ раздѣляетъ на мертвыя тѣла и тѣла организованныя, откуда и «физика» въ широкомъ смыслѣ знанія о дѣйствительности дѣлилась у него на физику неорганическую и органическую: соціологія и должна была быть отдѣломъ органической физики, или, какъ выражался самъ Контъ, «соціальною физикою» (Энцик. Сл. т. XXXI, Соціологія, стр. 78). |

სოციოლოგიის მამათ-მთავრად კონტი ითვლება. მაგრამ სოციოლოგიის სახელოვანმა სპენსერმაც დიდი ღვაწლი დასდო. არჩილ ჯორჯაძე „მეცნიერულ ბორძიკში“ სპენსერის სოციოლოგიურს მოძღვრებასაც მოგვითხრობს, მაგრამ თავისი ნათქვამი მთლად „ენციკლოპედიურ სლოვარიდგან“ აქვს ამოღებული. ეს ამოღება კიდევ არაფერი, საყურადღებო ისაა, რომ ამოღებას გასჩუმებია და მიუჩქმალია. ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე ნიმუშს ასეთის ნაცოდილარობისას. სპენსერმა პირველადვე აღიარა ბიოლოგ ბერის მიერ დადგენილი კანონი და არჩილ ჯორჯაძეც თავისს საუბარს ბერით იწყებს:

| | |
|---|---|
| ,,მეცნიერ ბერის განმარტებით, ყოველი ორგანიული განვითარება ერთგვარობის დარღვევაში და მრავალგვარობის დამყარებაში მდგომარეობს''(„მეცნიერული ბორძიკი'', II, სვ. 1). | «По мнѣнію Бэра, всякое органическое развитіе есть переходъ изъ состоянія однородности въ состояніе разнородности (томъ XXXI, Спенсеръ, стр. 178). |
| ,,საზოგადოებრივი განვითარება ,,ინტეგრაცია'' და ,,დიფერენციაცია'' არისო, ე. ი. გაერთიანება იმისი, რაც წინად განცალკევებული იყო და ერთგვარ ნაწილთა შორის განსხვავების ზრდა'' (იქვე). | «Вся соціальная эволюція сводится къ интеграціи и дифференціаціи, т. е. къ сплоченію въ одно цѣлое того, что существовало ранѣе въ разсѣянномъ состояніи, и къ постепенному увеличенію различія между первоначально однородными частями“ (ibid. стр. 185). |
| ,,ცხოველის ყოველი ნაწილი ერთ მთელს შეადგენს, საზოგადოების ნაწილები ამგვარსავე მთელს არ წარმოადგენენ. კერძო ცხოველში გონება ერთს განსაზღვრულ ადგილში იმყოფება. სოციალურ სხეულში ეს გონება განაწილებულია მთელს სხეულში (აგრეგატში). თვითეული ნაწილი ამ საზოგადო სხეულისა (ადამიანი) დამოუკიდებლად ჰფიქრობს, გრძნობს და სიამოვნებს'' (,,მეც. ბორძიკი'', II სვეტი 2 და 3). | «Всѣ части животнаго образуютъ одно конкретное цѣлое, но части, составляющія общество, образуютъ такое цѣлое, которое должно считаться раздѣльнымъ»... «въ индивидуальномъ организмѣ сознаніе сконцентрировано въ одной небольшой части аггрегата, въ соціальномъ оно разлито по всему аггрегату: всѣ его единицы способны чувствовать наслажденіе и страданіе» (ibid). |

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არჩილ ჯორჯაძე გვირჩევს, ჯერ კონტისა და სპენსერის თხზულებები გადავიკითხოთ და პასუხი მერე გავსცეთ. მარჯვენას მოვიჭრით—კონტს ვინლა სჩივის,—თუ იმას ან სპენსერიც-კი წაუკითხავს!.. მართალია, „ცნობის ფურცლის“ მეცნიერი ასახელებს სპენსერის თხზულებას, ასე გასინჯეთ, ამ თხზულების „ნაწილს“ და „თავსაც“-კი უჩვენებს, მაგრამ ესეც „სხვისით შევსებულია:

| | |
|---|---|
| ,,სპენსერის თხზულება Основанія Соціологіи რომ გადაშალოთ, დაინახავთ, რომ მეორე ნაწილის მეორე თავში, ავტორი სცდილობს საზოგადოების ორგანებრივი ხასიათი დაგვიმტკიცოს'' (,,მეცნიერული ბორძიკი'' II სვეტი 2). | «Цѣлую вторую главу второго тома «Основаній соціологіи» Спенсеръ посвящаетъ доказательству того, что общество есть организмъ» (XXXI, Спенсеръ, стр. 185). |

გეხსომებათ, პირველ თავის საპოლემიკო წერილში არჩილ ჯორჯაძემ გვიკიჟინა—„ორგანებრივი თეორია სოციოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია უარ-ყოფილია და დარღვეული, რადგან აშენებულია წმინდა მეტაფიზიკურ, არა რეალურ დებულებაზედაო“. ახლა თავისსავე „მეცნიერულ ბორძიკში“ იგივე ავტორი ამბობს, რომ „თანამედროვე მეცნიერთა შორის სხვებიც არიან ამ თეორიის (ორგანებრივის თეორიის) მიმდევარნი, როგორც ლილიენფელდი, შეფლე და ვორმსი“ (,,მეცნიერული ბორძიკი'' II, სვ. 1). ამ უკუთქმას და წინააღმდეგობას ჯანი გავარდეს, მაგრამ საყურადღებოც-კია, რომ ავტორს ლილიენფელდი, შეფლე და ვორმსი იმავე ბროკგაუზისა და ეფრონის „სლოვარიდგან“ ამოუღია (**т. XXII, Органическая теорія общества, стр. 99**). რასაკვირველია, ავტორს არც თეორიის მეტოქენი ავიწყდება: „საზოგადოების ორგანიულ განვითარების თეორიას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა: მიხაილოვსკი, ფულიე, ლესტერ ვორდი, კარეევი და სხვაო“ (,,მეცნიერული ბორძიკი'' II, სვ. 2) თვითეულ ამ მეცნიერის თხზულება სხოლიოში მოჰყავს და გულ-უბრყვილო ,,ცნობის ფურცლის'' მკითხველს გულში კიდეც გაეხარდება,—აი, ჩვენი არჩილი რა ნაკითხი ახალგაზრდა ყოფილაო!. მაგრამ სავალალოდ ეს მეცნიერული «მანტიაც» სხვისაა და არა ჯორჯაძისა (т. XXII, 99,100) «ამ მანტიით» დამშვენებული ჩვენი შინაური მეცნიერი გვაუწყებს, „ლესტერ ვორდის შეხედულობით, საზოგადოებას ამოძრავებს ორგვარი ძალა—უპირადო და პირადი ძალა და ამ ორ ძალთა ზედგავლენით აიხსნება ისტორიული განვითარების პროცესსიო» („ბორძიკი“ II, სვეტი 2). კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამ ლესტერ ვორდის «შეხედულობაც» ჩვენს ავტორს ჩვეულებრივ «სხვისით შეუვსია» (т. XXII, 99,100). რაკი «განვითარების პროცესსზედ» ავტორმა ბაასი აღძრა, რასაკვირველია, კონტის **„évolution spontanée“**-ც განმარტა, მაგრამ... მაგარი ისაა, რომ ესეც „სლოვარიდგან“ამოგლიჯა (**т. XXXI, Соціологія, стр. 82**).

ვინ იცის, იქმნება არჩილ ჯორჯაძემ უარი სთქვას,—«ჩემი საკმარი მაქვს და დანაკლისი სხვისით არ შემივსია»... მაშ თუ ასეა, აბა, გვიჩვენოს კონტისა და სპენსერის თხზულებების ადგილები, საიდგანაც მოჰყავს ყოველივე ის, რაც ზემოდ აღვნიშნეთ. დალოცვილო, კონტისა და სპენსერის ცოდნით მედიდურობს და ყოყოჩობს და წაკითხვით-კი სრულიად არ წაუკითხავს იმათი ნაწარმოები!... ჩვენს მეცნიერს მხოლოდ საცოდავად უჯიჯგნია და უჩორკნია ბროკგაუზისა და ეფრონის „სლოვარი“და საუბედუროდ-კი დაჰვიწყებია, რომ ასეთს ცოდილობას ადვილად მიუხვდებოდნენ... კურთხეულს, თვისი დანაკლისი სხვისით შეუვსია და ეს ამბავი-კი დაუმალია, რომ სხვისი მეცნიერება თავისად გაასაღოს.

Plebs.

(დასასრული იქნება)

ბლო და საადმინისტრაციო ზომების მეოხებით, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ასწევენ შრომის ფასს და შეამცირებენ სამუშაო დროს; მუშები გააიაფებენ სურსათს, როდესაც ქალაქის საბჭოებს ხელთ ჩაიგდებენ, მოასპობინებენ პარლამენტს საბაჟო გადასახადებს, აუკრძალავენ კანონის მეოხებით სახლის პატრონთ ქოხ-მახების შენებას და ამით თავიანთ სადგომებში ჰიგიენას გაამატონებენ. მუშები დიდ-ძალს ფულს გადაადებინებენ სკოლებისათვის სახელმწიფოს და თვით-მმართველობათ და ამით სწავლა-განათლებას უზრუნველ-ჰყოფენ თავიანთ შვილთათვის. ყველა ამას თვით მუშები შესძლებენ საერთო ძალითა, ამბობს მუშათა დასი.

## სასამართლოში

ოჰანეზამ ქართულს გაზეთში „ვირისა და ლომის“ იგავი წაიკითხა, ეწყინა, თავისი თავი იცნო ამ იგავში, აიღო გაზეთი და მომრიგებელ-მოსამართლესთან მივიდა საჩივლელად.

— სუდიაჯან, შენთან ერთი საჩივარი საქმე მაქვს.

— რა ამბავია?

— აბა ეს გაზეთმა წაიკითხე!

(მოსამართლე კითხულობს).

— „მიდიოდნენ გზად ვირი და ლომი. ლომმა ტოტი ჰკრა ვირსა, ვირი დაეცა და ტალახში ამოიგანგლა“.

— გესმის?

— არა.

— ჰა, მაშ არაფერი არ გესმის?

— აქ რა არის, რა უნდა მესმოდეს?!

— ერთიც წაიკითხე, თუ ქრისტე გწამს!..

— ესეც წავიკითხე: „მიდიოდნენ გზად ვირი და ლომი. ლომმა ტოტი ჰკრა ვირსა, ვირი დაეცა და ტალახში ამოიგანგლა“.

— ეხლა, გესმის?!

— არაფერი.

— ჰა, მაშ არ გესმის, რა კრიტიკას მიშრებიან?!.

— არა მესმის-რა.

— არა, ერთიც წაიკითხე, მამა გიცხონდა!

— სადა მცალიან ამ სისულელის კითხვისათვის.

— წაიკითხე ერთი გულის-ყურიანათა და!..

(მოსამართლე გაიცინებს და ერთხელ კიდევ წაიკითხავს).

„მიდიოდნენ გზად ვირი და ლომი. ლომმა ტოტი ჰკრა ვირსა, ვირი დაეცა და ტალახში ამოიგანგლა“.

— ეხლა ხომ გესმის?

— მაინც არა მესმის-რა?..

— ჰა, ვინ მიდიოდნენ გზაზედ?

— ვირი და ლომი

— ვირი და ლომიო?

— დიაღ.

— მერე, მე ვინა ვარ?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი. მაშ გზაზედ ვინ მიდიოდნენ?

— ვირი და ლომი.

— მეც მაგასა გკითხავ-და: მე ვინა ვარ,— ვირი თუ ლომი.

— რა ვიცი, იქნება ლომიცა ხარ.

— მე ვარ ლომი?!. რას ჰლაპარაკობ ეე, ოცდა-ექვსი წელიწადია ყველანი ვირს მეძახიან, შენ ეხლა ლომი გამხადე?.. რა „სუდია“ ყოფილხარ, წაკითხულიც ვერ გაგიგია. შენ აქ ვირი და ლომი ვერ გაგირჩევია, „ზაკონებისა“ რა უნდა გაიგო?.. მეც სანილიდი(?) გიპოვე რაღა!!.

ახ...

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო მათ, ვინც ჩემდა რწმუნებულ სასწავლებელს შემწეობა აღმოუჩინა და შემოსწირა: იასონ დიმიტრის-ძე დეკანოიძემ—წარწერა სასწავლებლისა, ღირებული 7 მან. და 50 კაპ., ტარასი მესხიშვილმა და ალია ბოჭოიძემ—ორ-ორი მანეთი, დომენტი კოხრაიძემ, ივანე ცხადაძემ, არქიპო რობაქიძემ, სპირიდონ ჯუღელმა, დავით ჯუღელმა, მოსე ბოჭორიშვილმა, თემურაზ ჯუღელმა, სპირიდონ გეწაძემ, ალფეზა ჯუღელმა, ერმილე კაპანაძემ, იოსებ დიბრაძემ, ალმასხან ლილუაშვილმა, გიორგი ბოგდანოვმა, იაკობ მშვილდაძემ, ივანე ჯულუხაძემ, ისიდორე ნიქაბაძემ, კონსტანტინე ცხადაძემ, გიორგი ელიშერიძემ, ივანე წაქაძემ, სარდიონ კაკაურიძემ, ეფროსინა გეწაძისამ, სამსონ სვანჩიაშვილმა, მაქსიმე გეწაძემ, ნიკო ლომინაშვილმა, სიმონ წაქაძემ, ვასილ სახუაძემ, ნესტორ გეწაძემ, ლავრენტი გეწაძემ, მალაქია ბოჭორიშვილმა, არხინოზა კაკაურიძემ, ალექსი წაქაძემ, სიმონა ჭურაძემ, მიხეილ ნიქაბაძემ, ილარიონ ცხადაძემ, სარდიონ დიბრაძემ, გიორგი კამლაძემ, მიხეილ ლომინაშვილმა, იორდან წაქაძემ, სიმონ წაქაძემ, ნიკიფორე გეწაძემ, თედოზ კაპანაძემ, მიხეილ კაკაურიძემ, სპირიდონ ჭულუხაძემ, მაქსიმე გეწაძემ, თემურაზ ნიქაბაძემ, დავით ბოჭორიშვილმა, არსენა კაპანაძემ, მაქსიმე ხიდაშელმა, ივანე ჯუღელმა, ალექსი ჯუღელმა, სოფრომ ხიდაშელმა, დავით ჩხიკვაძემ, მათე მაღლაკელიძემ, ალექსი ნიქაბაძემ, ბესარიონ ჯუღელმა, ალექსი წაქაძემ, იასონ სულაქველიძემ, გიორგი გაბეხაძემ, გიორგი გამრეკელაშვილმა, სინო ჯუღელმა, ალექსი გეწაძემ, ილარიონ ჯუღელმა, ოქროპირ გიორგაძემ, სარდიონ ჯუღელმა, კიმოთე კაპანაძემ, მიხეილ სულაქველიძემ, სიმონ წაქაძემ, მიხეილ კაკაურიძემ და ბესარიონ იამანიძემ — თითო მანეთი.

სვირის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი

თორნიკე გეგეშიძე.

## შემახელების სასარგებლოდ შემოწირულობა.

რედაქციამ მიიღო ბ-ს ბ. ზ. ფირალოვისაგან ბათომში შეკრებული 33 მ. 45 კ. შემახელების სასარგებლოდ. აი, შემწირველთა სია: ს. ვარძელოვმა 3 მ., №. №. 3 მ., ბინიატ-ოღლის ფაბრიკის მომუშავეთ 4 მ. 10 კ., ბ. ფიფიამ 2 მ., ა. ქანდარიანცმა 2 მ., Бр. Кульдицкіе 3 р., მ. კვარგანავმა 1 მ., А. Парасковопуло 1 р., Мндоянцъ 1 р., Сулуликіанцъ 1 р., ი. კახიანმა 1 მ., გ. ნაზაროვმა 1 მ., Н. Гурская 1 р., ლ. ყაუხჩოვმა 1 მ., ლ. ფილიპოვმა 1 მ., ძმ. გალუსტოვთ 1 მ., Х. Мартиросовъ 1 р., Мантикасъ 1 р., Н. Стоматели 1 р., Васскій 1 р., მ. გულაზაროვმა 50 კ., ე. ხარაზოვმა 50 კ., გჯ. დანიელოვმა 50 კ., А. Сотниковъ 50 к., პ. ნაზაროვმა 50 კ., ს. სანაძემ 20 კ., დ. გეცაძემ 20 კ., გ. ხალაძემ 20 კ., სულ 34 მ. 20 კ. ფოსტის ხარჯი 75 კ., იგზავნება 33 მ. 45 კ.

უწინდელ შემოწირულებასთან ერთად—106 მ. და 45 კ. (იხ. „ივერია“ № 36.), ამას გარდა, რედაქციამ მიიღო ბ-ნის ი. ს. გოგებაშვილისაგან 10 მ., რაიცა შეადგენს სულ—116 მ. და 45 კ.

## დეპეშა

„(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).“

15 თებერვალი.

**პეტერბურგი.** „მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ დაბეჭდილია სენატის დადგენილება იმის შესახებ, რომ როცა გლეხთა მიწებს ჰყიდიან მიწების გამოსაღებ გადასახადთა შეუტანლობის გამო, მოვალეთა ეზოები უნდა გაჰყიდონ ზედ აგებულ შენობებითურთ.

**მიტავა.** შარშან ლიბავის ნავთსადგურიდგან გაიტანეს 58 მილიონის საქონელი.

**ხარკოვი.** ერთის ნოტარიუსის კანტორაში მოსამსახურე ქალმა ითხოვა, რომ ნება მიეცათ მისთვის დაეჭირა ეგზამენი ნოტარიუსობაზე. ოლქის სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა მისი თხოვნა.

**ეკატერინოსლავი.** ქალაქის საბჭომ გადასდვა 40,000 მანეთი ქალაქის ბიბლიოთეკის სახლის მოსაწყობად.

**პოლტავა.** პოლტავის ქალაქის თვით-მმართველობას ნება დართეს გამოსცეს ერთი მილიონის საობლიგაციო სესხი.

**კრონშტადტი.** დაიწყო საინსპექტორო აღლუმი ფლოტის გემებისა.

**ლოძი.** აქაურმა კომიტეტმა წითელის ჯვრისამ ხელის მოწერა გამართა შემახელთა სასარგებლოდ.

**ლონდონი.** ჩემბერლენმა სთქვა საზოგადოებათა პალატაში, რომ როცა კიტჩენერს დაჰნებდნენ ბურების წვრილ გუნდთა წინამძღოლნი, მან დაარწმუნა ისინი, რომ აფრიკიდგან არ გადაასახლებს მათ. ინგლისის მმართებლობას ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს.

**მოსკოვი.** პოლიციის მიმართ გამოცემულს ბრძანებაში ნათქვამია: „1901 წლის 17 მარტის დადგენილებისა და 23 იანვრის 1902 წლის დამატების თებერვლის ცხრას დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქმნენ: 7 სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა, 10 სტუდენტი ტეხნიკურ სასწავლებლისა, 2 სტუდენტი საინჟინერო სასწავლებლისა, 1 სტუდენტი სამეურნეო ინსტიტუტისა, 1 სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა, 20 სტუდენტი გამმიჯვნელ ინსტიტუტისა 3 მოწაფე სამხატვრო სკოლისა, 3 მოწაფე ფილარმონიულ სასწავლებლისა, 1 მოწაფე კონსერვატორიისა, 1 მსმენელი საბებიო კურსებისა, 2 მსმენელი პედაგოგიურ კურსებისა, 1 მსმენელი კბილის ექიმობის სკოლისა, ერთი მსმენელი საბებიო ინსტიტუტისა, ორი აზნაური და ერთი აგრონომი; ორი თვით— 97 სტუდენტი უნივერსიტეტისა; ერთი თვით—55 კაცი სხვა-და-სხვა წოდებისა; თხუთმეტი დღით – 7 მოწაფე სტროგანოვის სასწავლებლისა, 7 დღით—ორი კაცი სხვა-და-სხვა წოდებისა. იმავ დადგენილებათა დარღვევისათვის 10 თებერვალს დაპატიმრებულ იქმნენ: სამი თვით—1 მოსამსახურე გუბერნიის საერობო გამგეობისა, ერთი თვით—8 სტუდენტი უნივერსიტეტისა, 5 სტუდენტი საინჟინერო სასწავლებლისა და 5 კაცი სხვა-და-სხვა წოდებისა.

### პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერვალი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . . . . | 94,05 |
| ბერლინში მარკაში 100 . . . . . | |
| ბარიჟში 100 ფრანკში . . . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . . | 94,75 |
| ბერლინში „ . . . . . . . . | 46,27½ |
| პარიჟში „ . . . . . . . . . | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 96⅛ გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა. . . . | |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . | 475 გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 376 მყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 298 გაყიდ. |
| 4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . | |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | 94⅝ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა . . . . . . | 85⅛ წვ. გაყ. |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „ . . . . . | |
| „ კასპიის ამხანაგობისა . | 4, 350 წვ. გაყ |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 168 წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | — |

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

**ტფილისიდან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის ~~ღამის~~ 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს.) 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

ПРОДАЖА

яблонь и грушевихъ деревьевъ,

премированныхъ золотою медалью, на Кавказской выставкѣ 1901 года изъ Лагодехи, Об—ва „Трудъ“ Африкяна.

Михайловскій пр. д. № 101. Пансіонъ Теръ-Степанова.

(4—289—1)

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18.

(წლ.)

GRAND PRIX

PARIS 1900.

Т-во Высшей арфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

Нильская

лилія

**ფოთის სამარხ კასის გამგეობა** აუწყებს კასის წევრებს, რომ კვირას, მარტის 3, საღამოს 6 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება კასის წევრებისა 1901 წლის ანგარიშის განსახილველად, თანამდებობის კაცების ამოსარჩევად და გამგეობის წევრთა გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ მოსალაპარაკებლად. (3—б.—2)

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | 15 კ. |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | 15 „ |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . . . | 5 „ |
| ანტონის და კლეოპატრა, შექსპირისა | 30 „ |
| აბო ტფილელი, ე. კ. . . . . | 30 „ |
| Або Тифлисскій, Е. К. . . . | 5 „ |
| ამბავი მადლის ქვისა . | 5 „ |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | 15 „ |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . | 1 მ. 50 „ |
| ბერანჟე, თარგ. გ. ყვაზავასი . | 40 „ |
| ბუნია . . . . | 10 „ |
| ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა . . . . | 15 „ |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა . . . . | 30 „ |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა | 1 მ. 30 „ |
| გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ. | 1 მ. 20 „ |
| გამზრდელი, აკაკისა . . . | 5 „ |
| აგსართობი . . . . | 10 „ |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა . | 15 „ |
| გუსტავ ვაზა . . . . | 5 „ |
| Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ . | 60 „ |
| გიორგი და მიხეილი . . . | 10 „ |
| Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ . . . | 20 „ |
| დედა, ანდერსენისა . . . | 8 „ |
| ამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. „ |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი , . | 20 „ |
| Двѣ святины въ Кахетіи, Е. К. | 10 „ |
| Давидъ Гареджели, Е. К. . | 15 „ |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა . | 15 „ |
| ელენე, მოთხრობა . . . | 5 „ |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | 40 „ |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. . | „ 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა . | „ 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III. Хахановъ | 3 „ |
| პატარა ლორდის თავგადასავალი . | „ 30 |
| პატარა ვეფხვის ტყაოსანი . | „ 25 |
| ამას გასდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | „ 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა . . | 1 „ |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა . | „ 60 |
| საერო დღესასწაული . . . | „ 25 |

გამგეობა

ქუთაისის ქალაქის წყლის მილის ამხანაგობისა

აცხადებს ამხანაგობის პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ ამა 1902 წლის 10 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისში, ხარაზოვის სახლში, ერევნის მოედანზე, ამხანაგობის კანტორაში დანიშნულია **საზოგადო კრება** ამხანაგობის წევრთა, ამასთან, თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, კრება არ შესდგა, იგი გადაიდება 17 მარტისათვის და კანონიერი იქმნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს

**საზოგადო კრების მიერ განსახილველი საგნები:**

1) ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1902 წლის 1 იანვრამდე, 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების შესახებ, 3) შეცვლა და დამატება ამხანაგობის ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლებისა, 4) წინადადება სამთო ინჟინერის ა. დ. მიხაილოვისა იმის შესახებ, რომ ამხანაგობას გადაეცეს კონცესია ქუთაისის ტრამვაისა; ამ მოხსენებას თან ახლავს გამგეობის დასკვნაც, 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 6) ვამგე დირექტორის ა. დ. მიხაილოვის მოხსენება გამგეობის აზრითურთ.

რწმუნებანი უნდა წარდგენილ იქმნას ხელშეკრულობის მე—34 §-ის თანახმად.

(3—288—1)

АЛЬБОМЪ

!ВЪ ПОЛЬЗУ ШЕМАХИНЦЕВЪ!

РЕДАКЦІЯ ЖУРНАЛА

„КАВКАЗЪ И СРЕДНЯЯ АЗІЯ“

издаетъ фототипный альбомъ снимковъ разрушенной 31-го января Шемахи съ подробнымъ описаніемъ землетрясенія и его послѣдствій.

Альбомъ выйдетъ въ свѣтъ въ концѣ іюня мѣсяца 1902 года и будетъ немедленно разосланъ исключительно подписчикамъ, такъ какъ это дорогое изданіе печатается только для подписавшихся.

50 фотографій сняты на другой день землетрясенія и въ послѣдующіе дни по 10-е февраля спеціально командированнымъ фотографомъ журнала „Кавказъ и Средняя Азія“.

Изданіе будетъ отпечатано на бристольскомъ картонѣ и заключено въ папку.

**Цѣна альбома съ пересылкою 4 рубля,**

изъ которыхъ 25% поступаютъ въ пользу обездоленныхъ шемахинцевъ.

Опредѣленная часть денегъ для шемахинцевъ, по полученіи редакціей подписной суммы, немедленно передается въ кассу Бакинскаго губернскаго комитета для отправки по назначенію, остальныя расходуются на изданіе.

Адресъ: *Баку, контора журнала „Кавказъ и Средняя Азія“.*

(2—у.—1)

ფაბრიკის ნიშანი

ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

პაპიროსები,

რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი. რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას

Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми.

(10—282—4)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 16-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ი. ჩ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.